



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

ს. დვალიშვილი

10 თებერვალი 2020 წელი

N 35/36

ეგზ.: N 1

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2	
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3	
	მოსაზრება	4	
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5	
	2. სხვა გარემოებები	18	
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	21	
	დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	24
		კონსოლიდირებული ერთეულები	31
		საკონტაქტო ინფორმაცია	32

ტერმინები და შემოკლებები

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო;

ბილინგის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად ხდება კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა;

დანაშაულის პრევენციის ცენტრი – სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი;

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი;

მონაცემთა გაცვლის სააგენტო – სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო;

პენიტენციური სისტემის სასწავლო ცენტრი – სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი;

პრობაციის სააგენტო – სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო;

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე;

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

„სმართ ლოჯიკი“ – სსიპ – „სმართ ლოჯიკი“.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და კანონიერების განმტკიცებას. 2019 წელს სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და ერთი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელთა დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები. 2020 წელს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრის და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტოს გაერთიანების გზით ჩამოყალიბდა სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. ასევე, სსიპ – „სმართ ლოჯიქი“ და სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს გაერთიანების შედეგად შეიქმნა სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2019 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

დასახელება	თავდაპირველად დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	181,130,000	213,895,448	18% ¹	211,756,798
მომუშავეთა რიცხოვნობა	5,098	-		-
ხარჯები	153,740,000	178,608,676	16%	177,069,197
მ.შ.: შრომის ანაზღაურება	78,147,000	71,606,872	-8% ²	71,505,363
არაფინანსური აქტივების ზრდა	27,390,000	35,286,772	29% ³	34,687,601

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)⁴

საბალანსე ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი შემოსავლები	ჯამი
სამინისტროს აპარატი	35,827,023	-	35,827,023
სპეციალური პენიტენციური სამსახური	143,706,334	-	143,706,334
სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი	6,078,961	4,912,600	10,991,561
სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი	1,441,730	1,915,273	3,357,003
სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	703,699	-	703,699
სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო	1,861,300	1,016,671	2,877,971
სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	1,138,498	13,000	1,151,498
სსიპ – პრობაციის ეროვნული სააგენტო	4,707,091	2,752,897	7,459,988
სსიპ – იუსტიციის სახლი	6,614,002	25,944,310	32,558,312
მიწის ბაზრის განვითარება (WB პროექტი)	1,403,160	-	1,403,160
სსიპ – „სმართ ლოჯიქი“	-	3,192,557	3,192,557
სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	3,500,000	68,413,044	71,913,044
სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	4,775,000	61,720,434	66,495,434
სსიპ – საკანონმდებლო მაცნე	-	1,779,192	1,779,192
სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო	-	34,997,105	34,997,105
ჯამი:	211,756,798	206,657,083	418,413,881

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების (ერთად – „ჯგუფის“)⁵ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს⁶ მოცემული თარიღით დასრულებული საადრიცხვო პერიოდისათვის, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, აბზაცში – „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁷ შესაბამისად.

¹ ზრდა ძირითადად განპირობებულია სამინისტროს მიერ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოებული დავისთვის იურიდიული მომსახურების შესყიდვით.

² თავისუფალი საშტატო ერთეულების ხარჯზე წლის განმავლობაში ხდებოდა თანხების გადანაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებზე.

³ ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია საჯარო რეესტრის სააგენტოს სათავო ოფისის მშენებლობისთვის საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებით, ასევე, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან იუსტიციის სახლების და საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობის დაფინანსებისთვის თანხის გამოყოფით.

⁴ თანხები მოიცავს სამინისტროს სისტემის შიდა გადარიცხვების ფარგლებში გაწეულ ხარჯებსაც.

⁵ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

⁷ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

სააღრიცხვო ინსტრუქციის⁸ მოთხოვნების შესაბამისად, კონსოლიდაციის დროს ეკონომიკურ ერთეულში შემავალი კომპონენტების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული ოპერაციები მთლიანად უნდა გამოირიცხოს და ანგარიშგება მომზადდეს ისე, რომ აღნიშნული ოპერაციები და ნაშთები არ იყოს მასში ასახული.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არ ხდება სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის ოპერაციებისა და ნაშთების ელიმინირება (გამორიცხვა). კერძოდ, არ არის ელიმინირებული სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის განხორციელებული ოპერაციები, ღირებულებით – 36,346,246 ლარი⁹ და წლის ბოლოს არსებული მოთხოვნა/ვალდებულებების ნაშთები, შესაბამისად, 213,629 და 225,599 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემოსავლები და ხარჯები გაზრდილია 36,346,246 ლარით, ხოლო მოთხოვნების და ვალდებულებების საბოლოო ნაშთები, შესაბამისად, 213,629 და 225,599 ლარით.

1.2 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება (შემცირება) 22,264,787 ლარს შეადგენს, რაც 9,787,133 ლარით ნაკლებია წლის განმავლობაში ფულადი სახსრების რეალურ ცვლილებაზე – 12,477,654 ლარზე. სხვაობა ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ სხვადასხვა საბალანსე ერთეულებს¹⁰ საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში მითითებული აქვთ წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული საკასო ხარჯი, რომელიც მოიცავს კომპონენტებს, რაც სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად,¹¹ არ წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობისთვის გადახდილ თანხებს:

-) არაფინანსური აქტივების შესყიდვისთვის გადახდილი დღე;
-) არაფინანსური აქტივების შესყიდვისთვის გადახდილი ავანსები;
-) არაფინანსური აქტივების მოწოდებისთვის დავალიანების დაფარვა.

ზემოაღნიშნულის შედეგად, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში, ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება (შემცირება) წარმოადგენილია 9,787,133 ლარით ნაკლები ღირებულებით.

1.3 წმინდა აქტივების/კაპიტალის

სერვისების სააგენტოს მიერ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს წლის განმავლობაში დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშიდან შენობა - ნაგებობების ანგარიშზე

⁸ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 30.

⁹ მათ შორის, ფულადი გრანტი: 17,458,480 ლარი, სასაქონლო გრანტი - 5,162,431 ლარი, საქონელი და მომსახურება - 13,725,335 ლარი

¹⁰ სპეციალური პენიტენციური სამსახური, ეროვნული არქივი, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, „სმართ ლოჯიკი“, იუსტიციის სახლი, სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

¹¹ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 36, პუნქტი 43.

ცვლილების შესახებ ანგარიშგება

კლასიფიცირების თანხას – 9,121,349 ლარს, რაც სააღრიცხვო ინსტრუქციის თანახმად,¹² არ წარმოადგენს აქტივის არასაოპერაციო ცვლილებას (ზრდა/კლება).

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები ნაჩვენებია 9,121,349 ლარით გაზრდილი ღირებულებით.

1.4 ქონების ინვენტარიზაცია

სამინისტროს დაქვემდებარებული 14 სტრუქტურული ერთეულიდან, ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა 1 ერთეულში, ხოლო არასრულად განხორციელდა 2 ერთეულში:

საჯარო რეესტრის სააგენტო¹³ – 2019 წელს სააგენტოში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ სააღრიცხვო პროგრამაში აქტივების ნაშთები ასახულია მხოლოდ ნაერთი სახით, სააგენტოს დონეზე და არ არის დაყოფილი ქვეერთეულების (მატერიალურად პასუხისმგებელი პირების) მიხედვით, რის გამოც ვერ ხდება ფაქტობრივი და საბუღალტრო ნაშთების შესაბამისობის კონტროლი.

სპეციალური პენიტენციური სამსახური – 2019 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ უძრავ ქონებაზე და სტრატეგიულ აქტივებზე.¹⁴ 2018 წელს საწყობში ჩატარებულმა ინვენტარიზაციამ გამოავლინა 915,049 ლარის დანაკლისი. აღნიშნული დანაკლისიდან გარკვეულ ნაწილზე დადგინდა პირთა ბრალეულობა.¹⁵ ინვენტარიზაციის შედეგები შემდგომი რეაგირების მიზნით გაიგზავნა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში, რომელმაც იმ მოტივით, რომ პროცედურები ჩატარდა მხოლოდ სასაწყობო სამმართველოში და აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა მატერიალური აქტივების სრულად მოძიებას, მიიჩნია, რომ საჭირო იყო სრული სტრუქტურული ინვენტარიზაცია. დანაკლისების რეალური მიზეზების დასადგენად, 2019 წელს სამსახურში ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა. აღსანიშნავია რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ინვენტარიზაციის ჩატარება სპეციფიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სრული ინვენტარიზაცია სამსახურში დაგეგმილია 2020 წელს, რისთვისაც ჩატარებულია მოსამზადებელი ეტაპი და ყველა პენიტენციურ დაწესებულებასა და სხვა ქვე-ერთეულებში, ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.¹⁶

ეროვნული არქივი – 2019 წელს ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებულია არასრულად. კერძოდ, არ არის შედგენილი შედარების უწყისი, საინვენტარიზაციო აღწერის უწყისებსა და შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებულია მხოლოდ საბუღალტრო ნაშთები. ობიექტის განმარტებით, 2020 წლის ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩასატარებლად განხორციელებულია მნიშვნელოვანი აქტივობები.

ინვენტარიზაციის არასათანადო განხორციელების გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება ზემოაღნიშნული უწყებების სასაქონლო-მატერიალური

¹² სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 191, პუნქტები: 2,3.

¹³ 2020 წლის 1 ივლისს სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის თანახმად, სააგენტოში ინვენტარიზაცია ამჟამად მიმდინარეობს.

¹⁴ ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა

¹⁵ საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათით (N634569, 11.07.2018), აღნიშნული დანაკლისი წარმოადგენდა 2016 წელს ჩატარებული გამოძიების შედეგად უკანონოდ მითვისებულ მარაგებს, 232.09 ათასი ლარის ოდენობით, ასევე სხვადასხვა დასახელების, ძირითადად, წინა პერიოდებში მიღებულ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს.

¹⁶ კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, შესაძლოა აღნიშნული პროცესი დროში გახანგრძლივდეს.

მარაგების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და ტექნიკა-ინვენტარის 50,005,851 და 54,574,693 ლარის საწყისი და საბოლოო ნაშთების არსებობასა და სიზუსტეზე.

1.5 შემოსავლები

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების მიხედვით, 2019 წელს სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, დღგ-ის გარეშე, 92,201,417 ლარს შეადგენს.¹⁷

შემოსავლების აღიარება არ ხდება ბილინგის სისტემის მიხედვით, რომელიც რეალურად და შესაბამის დროში ასახავს განხორციელებულ ოპერაციებს. აღრიცხვა ხორციელდება საკასო მეთოდით,¹⁸ ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში ასახული თანხების მიხედვით.

ხშირ შემთხვევაში, წინა საანგარიშო პერიოდის დეკემბერში გადახდილი თანხები ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში მომდევნო წლის იანვარში აისახება. გამომდინარე აქედან, შემოსავლების აღიარება არ ხდება შესაბამის საანგარიშო პერიოდში.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს შემოსავლების დარიცხვის მეთოდით¹⁹ აღრიცხვა²⁰ და შექმნას კონტროლის მექანიზმი იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლების და მიღებული ავანსების სისრულეში.

აუდიტის შედეგად, ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში იდენტიფიცირებულია 2018 წლის 148,750 ლარის²¹ და 2019 წლის 142,329 ლარის²² შემოსავლის ტრანზაქცია, რომლებიც ასახულია არასწორ საანგარიშო პერიოდში - შესაბამისად, 2019 და 2020 წლებში. ამასთანავე, შემოსავლების აღიარება არ ხდება დარიცხვის მეთოდის გათვალისწინებით.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწყებულია სამუშაოები IT დეპარტამენტის ჩართულობით.

1.5 ძირითადი აქტივები

1.5.1 წინა საანგარიშო პერიოდების დაურიცხავი ცვეთა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 2014 წლამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ჯამური თანხით – 82,699,670 ლარი.

პრობლემატურია როგორც განხორციელებული სამუშაოების ღირებულების იუსტიციის სახლისთვის გადაცემის, ასევე შენობის ექსპლუატაციაში მიღების

¹⁷ სერვისების სააგენტო - 52,033,423 ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო - 40,167,994
¹⁸ საკასო მეთოდი - ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, როცა ეკონომიკური მოვლენა აისახება მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ფულადი სახსრების მიღება ან გადახდა.
¹⁹ დარიცხვის მეთოდი - ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები, ან მოხდება თუ არა მომავალში გადახდა/მიღება.
²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანების „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის მტკიცების შესახებ“, მუხლი II, პუნქტი 2, „ე“ ქვეპუნქტი.
²¹ 93,230 ლარი - სერვისების სააგენტო, 55,520 ლარი - საჯარო რეესტრის სააგენტო.
²² სერვისების სააგენტო - 82,708 ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო - 59,621 ლარი (მოცემულია დღგ-ის გარეშე).

საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ შენობა ფაქტობრივად ფუნქციონირებს 2012 წლიდან.

მიღებული განმარტებით, ექსპლუატაციაში მიღების პრობლემა გამოწვეულია მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შეუსაბამობის გამო. ამასთანავე, საკითხთან დაკავშირებით დამატებით ხორციელდება ინტენსიური სამუშაოები.

„სმართ ლოჯიკის“ ბალანსზე დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე აღრიცხულია იუსტიციის სამინისტროს შენობის - 2 (ორი) სართულზე 2015-2016 წლებში 332.6 კვ.მ ფართზე (სასერვერო ოთახი) გაწეული სამუშაოების ღირებულება – 532,482 ლარი. ფაქტობრივი ექსპლუატაციის მიუხედავად, აქტივი კლასიფიცირებულია არასწორად – ნაცვლად „დაუმთავრებელი მშენებლობისა“, ასახული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობის“ ანგარიშზე და ერიცხებოდეს ცვეთა.

ზემოაღნიშნულის შედეგად, აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და მას ცვეთა არ ერიცხება.²³

ცხრილი N3. აქტივების საბალანსო ღირებულება და მათზე დასარიცხი ცვეთა/ამორტიზაცია (ლარი)

საბალანსე ერთეული	მიღების წელი	საბალანსე ღირ. 01.01.2019	2019 წლამდე დასარიცხი ცვეთა	2019 წელს დასარიცხი ცვეთა	პოტენციური ღირ-ბა (31.12.2019)
საჯარო რეესტრის სააგენ.	2014	40,090,809	(2,004,540)	(400,908)	37,685,361
სერვისების სააგენტო	2013	42,608,861	(2,556,532)	(426,089)	39,626,240
„სმართ ლოჯიკი“	2016	532,482	(15,974)	(5,325)	511,183
ჯამი:		83,232,152	(4,577,046)	(832,322)	77,822,784

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიცირებულია არასწორად, ასევე საწყისი და საბოლოო ნაშთები წარმოდგენილია, შესაბამისად, 4,577,046 და 5,409,368 ლარით გაზრდილი ღირებულებით, ხოლო საანგარიშო პერიოდის ცვეთის ხარჯი შემცირებულია 832,322 ლარით.

სამინისტროს განმარტებით, სამუშაოების ღირებულების იუსტიციის სახლისთვის გადაცემის პროცესი 2020 წელს დასრულდება.

1.5.2 ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული უძრავი ქონება

სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ბალანსზე აღრიცხულია შენობა-ნაგებობები, მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებიც არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში. ინფორმაცია აღნიშნული აქტივების ღირებულების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ:

ცხრილი N4. სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული გრძელვადიანი აქტივების ღირებულების შესახებ (ლარი)

საბალანსე ერთეული	კატეგორია	ღირ-ბა (01.01.2019)	ღირ-ბა (31.12.2019)
სპეციალური პენიტ. სამსახური	შენობები, მიწა	9,132,842	8,972,217
სპეციალური პენიტ. სამსახური	დაუმთ. მშენებ.	557,050	557,050

²³ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 150, პუნქტი 7.

აღსრულების ბიურო	შენიშვნები	411,991	409,931
სამინისტროს აპარატი	შენიშვნები	47,863	47,368
საჯარო რეესტრის სააგენტო	შენიშვნები	71,520	71,520
სულ:		10,221,266	10,058,086

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული აქტივების შესახებ:

) სპეციალური პენიტენციური სამსახური: ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N83²⁴-ში მდებარე ყოფილ ადმინისტრაციულ შენობასა და ყოფილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობებზე შეწყვეტილია სარგებლობის უფლება და აღნიშნული შენობები იმყოფება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და სსიპ – „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112“-ის ფაქტობრივ სარგებლობაში. მიუხედავად ამისა, შენობები, ჯამური ნარჩენი ღირებულებით – **7,704,504** ლარი, კვლავ სამსახურის ბალანსზეა აღრიცხული;

) სპეციალური პენიტენციური სამსახური: ქ. თბილისში, გულუას ქუჩა N10-ში მდებარე, 2018 წელს გაუქმებული N7 პენიტენციური დაწესებულების შენობის ფართი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით – **550,817** ლარი, მიუხედავად ფაქტობრივი სარგებლობისა, არ არის გადაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის;

) სპეციალური პენიტენციური სამსახური: ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა N17-ში მდებარე, ყოფილ N10 პენიტენციური დაწესებულების **420,424** ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობაზე 2016 წელს შეწყვეტილია სარგებლობის უფლება,²⁴ ხოლო ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N75-ში მდებარე, არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე რიცხული **260,800** ლარის საბალანსო ღირებულების მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მესაკუთრე, სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, კერძო ორგანიზაციაა;²⁵

) სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ირიცხება ქ. ნინოწმინდაში 2010 წლამდე მშენებარე დაწესებულების საპროექტო სამუშაოების ღირებულება, **541,250** ლარი, რაც დღემდე გამოუყენებელია და მისგან რაიმე სახის სარგებლის მიღება მოსალოდნელი არ არის;²⁶

) აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა შენობა-ნაგებობა,²⁷ რომლებზეც სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, შეწყვეტილია სარგებლობის უფლება. ამასთანავე, 2019 წლის საინვენტარიზაციო დოკუმენტაციაში არ არის განხილული აღნიშნული საკითხი;

ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობების ღირებულებები, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ექვემდებარება ფაქტობრივ მოსარგებლებზე/მფლობელებზე გადაცემას და შესაბამისად, ბალანსიდან ჩამოწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის

²⁴ წერილი N7/44691, 29.08.2016.

²⁵ შპს „ორთაჭალა“, საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.063.

²⁶ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

²⁷ 9 (ცხრა) ქალაქში არსებული 10 ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე გაწეული კაპიტალური სამუშაოების ღირებულება.

შესახებ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთები წარმოდგენილია, შესაბამისად, 10,221,266 და 10,058,086 ლარით გაზრდილი ღირებულებით.

1.5.3 ღირებულების გარეშე აღრიცხული მიწა და შენობა-ნაგებობები

აუდიტის შედეგად სამინისტროს სხვადასხვა საბალანსე ერთეულებში იდენტიფიცირებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწები, რომლებიც არ არის შეფასებული და არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე ასახული:

ცხრილი N5. საბალანსე ერთეულების სარგებლობაში არსებული, ღირებულების გარეშე აღურიცხავი მიწის ფართობები

საბალანსე ერთეული	ობიექტი	რაოდენობა (კვ.მ)
სპეციალური პენიტ. სამსახური	დაწესებულებები, სხვადასხვა	2,250,404
საჯარო რეესტრის სააგენტო	არქივის შენობა, მშენებ. ოფისი	14,754
იუსტიციის სახლი	მცხეთა (მშენებარე)	5,500
სულ:		2,270,658

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ღირებულებით აღრიცხულია მხოლოდ 3 (სამი) ობიექტის მიწა, რაც სამსახურის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის საერთო ოდენობის მხოლოდ 2.2%-ს შეადგენს. არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე არ არის ღირებულებით ასახული 13 პენიტენციური დაწესებულების, ადმინისტრაციული შენობის, საწყობის, წვევამდელთა გადამზადების ცენტრის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთი), სპეციალური დანიშნულების რაზმის შენობის (ქ. რუსთავი) და მშენებარე პენიტენციური დაწესებულებების მიწები.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში 2019 წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, გამოვლენილია 4 (ოთხი) ერთეული არასაცხოვრებელი შენობა და 86 ერთეული ნაგებობა,²⁸ რომელიც ღირებულების გარეშე წარმოდგენილი და საჭიროებს შეფასებას, შესაბამისად, ბალანსზე ასახვას.

შედეგად, ზემოაღნიშნული მიწები და შენობა-ნაგებობები არ არის ღირებულებით აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში. მათი ოდენობიდან გამომდინარე, თანხობრივი გავლენა არსებითია, თუმცა ვერ ვსაზღვრავთ კორექტირებისთვის საჭირო ზუსტ თანხას.

სამინისტროს განმარტებით, მიწის ნაკვეთების შეფასება მოხდება 2020 წლის ბოლომდე, შესაბამისი მუნიციპალიტეტების დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატიული ფასების გათვალისწინებით, ხოლო აღურიცხავი შენობა-ნაგებობების შეფასება დასრულდება 2021 წლის ბოლომდე.

²⁸ ინვენტარიზაციის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, გრიფით „საიდუმლო“.

1.5.4 ძირითადი აქტივების ცვეთა

სამინისტროს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში ხარჯის მუხლი – „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, 2019 წელს **27,598,840** ლარს შეადგენს. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

ქ) **საჯარო რეესტრის სააგენტო** – ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად სააგენტო იყენებს არა ისტორიულ,²⁹ არამედ 2012 წლის დასაწყისისთვის არსებულ ნარჩენ ღირებულებებს, რის გამოც, საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯი ნაჩვენებია შემცირებულად. წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ ხორციელდება აქტივების საწყისი ღირებულების დადგენა, შესაბამისად, კორექტირებისთვის საჭირო თანხა ზუსტად ვერ განისაზღვრება;

ქ) **იუსტიციის სახლი** – ტექნიკასა და ინვენტარზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად იუსტიციის სახლი ისტორიულის ნაცვლად, იყენებს ნარჩენ საბალანსო ღირებულებას. ამასთანავე, 2019 წელს ცვეთა არ არის დარიცხული საწყობში არსებულ და ექსპლუატაციაში მყოფ 3,577,743 ლარის ნარჩენი ღირებულების ტექნიკა/ინვენტარზე, ხოლო 2019 წელს 17,657,865 ლარის ნარჩენი ღირებულების შენობა-ნაგებობებზე, არ არის დარიცხული 176,579 ლარის ცვეთა;

ქ) **სპეციალური პენიტენციური სამსახურის და აღსრულების ეროვნული ბიუროს** ბალანსზე ირიცხება 1,460,797 ლარის სტრატეგიული აქტივი,³⁰ თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით,³¹ ასეთ აქტივებზე ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავ ინსტრუქციის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;

აღსანიშნავია რომ სტრატეგიული აქტივების შეფასებისა და ცვეთის დარიცხვის ნაკლოვანებები ძალოვანი უწყებებისთვის სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. ობიექტის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები და ინტენსიური სამუშაოები.

ქ) **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** არ აქვს ცვეთა დარიცხული განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე³² (46,094 ლარი). ამასთანავე, არასწორი ცვეთის ნორმის გამოყენების გამო, ტექნიკა/ინვენტარზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და შენობა-ნაგებობებზე ჯამურად დარიცხულია 672,852 ლარით ნაკლები ცვეთა³³;

ქ) 2019 წელს ცვეთა არ არის დარიცხული **თბილისის იუსტიციის სახლზე და სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობის ნაწილზე**, ღირებულებით – 832,322 ლარი (იხ. N1.5.1 საკითხი);

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2019 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში მუხლი „ძირითადი კაპიტალის

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

³⁰ ცეცხლსასროლი იარაღი.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

³² პროგრამული უზრუნველყოფები, ვებგვერდი, ლიცენზიები, სატელევიზიო ვიდეორგოლები და ა.შ.

³³ შესამოწმებელი სკანერები, სატრანსპორტო საშუალებები, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა.

მოხმარება“; წარმოდგენილია ჯამურად 1,727,847 ლარით შემცირებულად. ასევე აქტივების ნაწილზე არ ან არასრულად არის დარიცხული ცვეთის თანხა, თუმცა ვერ განესაზღვრავთ კორექტირებისთვის საჭირო ზუსტ ოდენობას.

1.6 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საბოლოო ნაშთი შეადგენს 11,776,638 ლარს. მუხლის კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 2019 წლის ბოლოს, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, ჯამური თანხით – 2,894,497 ლარი,³⁴ არ არის ჩამოწერილი და გადატანილი საცნობარო მუხლის ანგარიშზე – „ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“, სააღრიცხვო ინსტრუქციის მოთხოვნის შესაბამისად,³⁵

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, 2019 წლის ბოლოს 4,586,890 ლარის ღირებულების სპეცტანსაცემელი და უნიფორმა, ნაცვლად „სასაქონლო-მატერიალური მარაგების“ ანგარიშისა, ასახული აქვს „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ ანგარიშზე. შესაბამისად, აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად.³⁶

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, სერვისების სააგენტოსა და იუსტიციის სახლში, ძირითადი საშუალებების ანგარიშზე რიცხულია ჯამურად 1,338,171 ლარის³⁷, 500 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ტექნიკა და ინვენტარი, რაც სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად³⁸, კლასიფიცირებული უნდა იყოს გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანგარიშზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მუხლი „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ წარმოდგენილია 2,894,497 ლარით გაზრდილი ღირებულებით, 3,248,719 ლარის თანხა კი ამავე მუხლზე კლასიფიცირებულია არასწორად.

1.7 მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე რიცხული ნაშთი 20,431,522 ლარს შეადგენს, საიდანაც:

-) 213,629 ლარი წარმოადგენს შიდაჯგუფურ, არაელიმინირებულ ნაშთს;
-) 738,118 ლარის საავანსო ანგარიშსწორება,³⁹ შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, დახურულია 2019 წელს, თუმცა ოპერაცია ასახულია 2020 წელს.

საჯარო რეესტრის სააგენტოსა და სერვისების სააგენტოში 2019 წელს არ ჩატარებულა მოთხოვნების ინვენტარიზაცია, ეროვნული არქივის

³⁴ აღსრულების ეროვნული ბიურო - 1,420,645 ლარი, სპეციალური პენიტენციური სამსახური - 1,473,852 ლარი.

³⁵ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 215, პუნქტი 5.

³⁶ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 150, პუნქტი 9.

³⁷ სპეციალური პენიტენციური სამსახური - 1,025,996 ლარი, , იუსტიციის სახლი - 185,996 ლარი, სერვისების სააგენტო - 126,179 ლარი.

³⁸ მუხლი 150, პუნქტი 4.

³⁹ შპს „ნეოტექი“, ა/ფ ეა-11 4897257, 01.05.2019.

საინვესტიციო დოკუმენტაცია კი არ მოიცავს საბუღალტრო და ფაქტობრივი ნაშთების შედარებას და შესაბამის შედეგებს. გამომდინარე აქედან, არ არის გადაწყვეტილი 309,556 ლარის ხანდაზმული მოთხოვნების⁴⁰ საცნობარო მუხლზე გადატანის საკითხი.⁴¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშის ნაშთი გაზრდილია 951,747 ლარით, ხოლო 309,556 ლარის ხანდაზმული მოთხოვნების საცნობარო მუხლზე გადატანის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

1.8 ვალდებულებები

1.8.1 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები, სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოკლევადიანი ვალდებულებები, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,377,634 ლარს შეადგენს, გრძელვადიანი – 5,799,854 ლარს. ვალდებულებებთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

-) 2020 წელს გამოწერილი, 2019 წლის დეკემბრის ოპერაციების ამსახველი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, იუსტიციის სახლს და სერვისების სააგენტოს**, ნაცვლად 2019 წლისა, ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვთ 2020 წელს, ჯამური თანხით – 3,248,159 ლარი;⁴²
-) ვალდებულებების თანხა მოიცავს შიდაჯგუფურ და არაელიმინირებულ ნაშთებს 225,599 ლარის ოდენობით;
-) 95,122 ლარის ვალდებულება ერიცხებათ ლიკვიდირებულ ორგანიზაციებს;⁴³
-) „გრძელვადიანი ვალდებულებების“ ანგარიშზე რიცხული 5,799,553 ლარის დავალიანება, რომელიც უკავშირდება იურიდიული მომსახურების შესყიდვას, სრულად დაფარულია 2020 წლის მარტში და დოკუმენტაციის მიხედვით, მოკლევადიანი ვალდებულებათა შესაბამისად, თანხა ნაცვლად გრძელვადიანისა, ასახული უნდა იყოს მოკლევადიანი ვალდებულებების ანგარიშზე;
-) **საჯარო რეესტრის სააგენტოს, სერვისების სააგენტოს** და 2004 წელს გაუქმებულ მიწის მართვის დეპარტამენტის ვალდებულებებზე 2019 წელს არ ჩატარებულა ინვესტიციები. ეროვნულ არქივში ინვესტირება ჩატარებულია არასრულყოფილად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გადაწყვეტილი 743,608 ლარის⁴⁴ ხანდაზმული დავალიანების საცნობარო მუხლზე გადატანის საკითხი.⁴⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულებები შემცირებულია 2,927,438 ლარით, ასევე 5,799,553 ლარის დავალიანება კლასიფიცირებულია

⁴⁰ 2009-2016 წლების ბალანსის დანართი N11.

⁴¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვესტირების შესახებ“, მუხლი 11, პუნქტი 6.

⁴² სპეციალური პენიტენციური სამსახური - 2,661,135 ლარი, იუსტიციის სახლი - 251,832 ლარი, სერვისების სააგენტო - 335,192 ლარი.

⁴³ სამინისტროს აპარატზე - 14,822 ლარი, გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტზე - 80,240 ლარი.

⁴⁴ ბალანსის დანართი N12, 1996-2016 წლების თანხები არ მოიცავს თანამშრომელთა მიმართ და სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებულ დავალიანებებს.

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა - ვალდებულებების ინვესტირების შესახებ“, მუხლი 11, პუნქტი 6.

არასწორად, ხოლო 743,608 ლარის ხანდაზმული დავალიანების საცნობარო მუხლზე გადატანის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

1.8.2 ვალდებულებები დეპოზიტებით

აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებების ანგარიშზე – „ვალდებულებები დეპოზიტით“, 2019 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები შეადგენს 133,837,544 ლარს და 141,822,555 ლარს. აღნიშნული ნაშთი წარმოადგენს სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ თანხებს, ასევე გირაოს⁴⁶ თანხებს. ვალდებულებების აღრიცხვასთან მიმართებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

) 2,819,883 ლარის სადეპოზიტო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. **აღსრულების ეროვნული ბიუროს** განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის პერიოდში არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის შედეგადაც ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება;

) ვალდებულების საწყისი ნაშთი არ მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების გადაფასების თანხას – 691,320 ლარს;

) 2019 წლის ბოლოს, სადეპოზიტო ვალდებულებების ანგარიშზე არსებული ნაშთი მოიცავს 97,000-ზე მეტ საქმეს, ნაშთების და ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავება ხდება მანუალურად, MS Excel-ის პროგრამაში, რაც საჭიროებს დიდ დროით რესურსს. კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკიც. ამგვარი სახის კონტროლი ვერ უზრუნველყოფს სადეპოზიტო თანხების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებას;

) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად, ბანკის ამონაწერებში დაფიქსირებული თანხების შესაბამისად. ნაშთები მოიცავს როგორც სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ, ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომელიც ხშირ შემთხვევებში დგება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც ბიუროს საფასურის თანხით სადეპოზიტო ვალდებულების ანგარიშში უნდა შემცირდეს და თანხა აღიარდეს შემოსავლად;

) სადეპოზიტო ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთები, შესაბამისად, 184,300 ლარი და 371,955 ლარი, მოიცავს გამარტივებული საქმისწარმოების საფასურის თანხებს,⁴⁷ რომელიც ბიუროს შემოსავალია და

⁴⁶ ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს, ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს.

⁴⁷ აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურება, რომლის მიხედვით ხორციელდება ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავის მოგვარება სასამართლო დავის გარეშე. კანონმდებლობით განსაზღვრული საფასური ერთ განცხადებაზე - 100 ლარია.

არა – სააღრიცხვო ინსტრუქციით⁴⁸ გათვალისწინებული სადეპოზიტო ვალდებულება. თუმცა იმის გამო, რომ ბიუროს მიმდინარე ანგარიში (ხაზინის) არ არის ბილინგის სისტემასთან ინტეგრირებული, თანხა თავდაპირველად ირიცხება სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო მიმდინარე ანგარიშზე გადაიტანება პასუხისმგებელი თანამშრომლის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, თანხა, ნაცვლად „ვალდებულებები დეპოზიტით“ ანგარიშისა, უნდა აღიარდეს შემოსავლების ანგარიშზე. გარდა ამისა, მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვამდე, ბიურო ვერ ახორციელებს აღნიშნული თანხის განკარგვას.

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, სადეპოზიტო ვალდებულების საბოლოო ნაშთი წარმოდგენილია 371,955 ლარით გაზრდილი ღირებულებით. ამასთანავე, ვერ ვრწმუნდებით 2,819,883 ლარის ვალდებულების თანხის არსებობასა და სიზუსტეში.

1.8.3 საგადასახადო მოთხოვნები/ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **სპეციალური პენიტენციური სამსახურის და აღსრულების ეროვნული ბიუროს** საგადასახადო აღრიცხვის ბარათებზე ირიცხება მველი პერიოდიდან მომდინარე გაურკვეველი ნაშთები:

-) **აღსრულების ეროვნული ბიუროს** ბარათზე რიცხული საგადასახადო ზედმეტობა 406,235 ლარით მეტია საბალანსო ნაშთზე;
-) **სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ბარათზე რიცხული საგადასახადო ვალდებულება 4,598,577 ლარით მეტია საბალანსო მონაცემებზე. პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, თანხა ირიცხებოდა ყოფილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბარათზე, ხოლო მისი გაერთიანება სამსახურის ბარათთან განხორციელდა 2019 წელს.

მოთხოვნა-ვალდებულებებზე 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია არ მოიცავს აღნიშნული სხვაობების შესახებ რაიმე სახის განმარტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ვრწმუნდებით 2019 წლის ბოლოს ბალანსზე არსებული 4,652,537 ლარის საგადასახადო მოთხოვნების და 818,056 ლარის საგადასახადო ვალდებულებების სისრულესა და სიზუსტეში.

1.9 სხვა ხარჯები

2019 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლის ჯამური თანხა 10,817,508 ლარია, აღნიშნულ ხარჯებთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს და იუსტიციის სახლის მიერ, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად,⁴⁹ არ არის „სხვა ხარჯების“ ანგარიშზე აღიარებული 2019 წლის ქონების გადასახადის თანხა – 1,003,028 ლარის ოდენობით,⁵⁰ რაც, თავის მხრივ, იწვევს საგადასახადო აღრიცხვის ბარათთან სხვაობას.

⁴⁸ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 79, პუნქტი 11.

⁴⁹ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 80, პუნქტი 15.

⁵⁰ იუსტიციის სახლი - 681,738 ლარი, აღსრულების ეროვნული ბიურო - 240,172 ლარი, ეროვნული არქივი - 81,118 ლარი. ხარჯი აღიარებულია საკასო მეთოდით, 2020 წელს.

იუსტიციის სახლის მიერ 2019 წელს კულტივირებული აქტივების ჩამოწერა თანხით – 436,913 ლარი, არ არის ასახული „სხვა ხარჯების“ ანგარიშზე. აღნიშნული თანხით პირდაპირ შემცირებულია წმინდა ღირებულების ანგარიში.⁵¹

აქედან გამომდინარე, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 1,439,941 ლარით.

1.10 მედიკამენტების ინვენტარიზაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 2017 წელს განხორციელებული მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგად, 2018 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმით, კომისიამ გამოავლინა 893,577 ლარის დანაკლისი (მათ შორის, გაუქმებულ პენიტენციურ დაწესებულებებზე რიცხული 134,777 ლარის მარაგები). ამავე ოქმში მოცემული განმარტებით, დანაკლისი განპირობებული იყო წინა პერიოდებში მედიკამენტების აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმების არარსებობით, ინვენტარიზაციის განუხორციელებლობით და მარაგების ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებით (აღნიშნული საკითხი განხილულია წინა აუდიტის ანგარიშებში).⁵²

გამოვლენილ დანაკლისთან დაკავშირებით, არ განხორციელებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები⁵³ და ინვენტარიზაციის შედეგები, შემდგომი შესწავლის მიზნით არ არის გადაგზავნილი სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

აუდიტის შედეგად ასევე გამოვლინდა მარაგების ანგარიშზე რიცხული, წინა პერიოდებში ჯანდაცვის სამინისტროდან უსასყიდლოდ მიღებული **1,162,684** ლარის მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებელი ორგანიზაციების⁵⁴ კონტროლირებად მედიკამენტებს და ამავე ორგანიზაციის მიერ ჩამოწერილია ხარჯებში.

ვინაიდან ბრალდებულები/მსჯავრდებულები ჯანდაცვის სამინისტროს ბენეფიციარები არიან, აღნიშნული მარაგები ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.⁵⁵

შედეგად, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანგარიშზე საანგარიშო წლის ბოლოს ირიცხება 893,577 ლარის ფაქტობრივად არარსებული ნაშთი, ჯამურად სასაქონლო - მატერიალური მარაგების ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენილია 2,056,261 ლარით გაზრდილი ღირებულებით.

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁵² საკითხი არ ეხება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებულ მედიკამენტებს, რომელთა აღრიცხვასა და კონტროლს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.

⁵³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

⁵⁴ სოციალური მომსახურების სააგენტო, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

⁵⁵ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 საჯარო რეესტრის სააგენტოს სათავო ოფისის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებაში არსებული ნაკლოვანებები

საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ, ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N22-ში სათავო ოფისის მშენებლობაზე, გათბობა-გაგრილების სისტემის და ფასადის/შიდა მოპირკეთების სამუშაოების შესყიდვაზე 2018 წლის ოქტომბერს⁵⁶ და 2019 წლის იანვარში⁵⁷ გამოცხადებული ტენდერების შედეგად, გაფორმებულია 2 (ორი) ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით – 20,656,064 ლარი. ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი თანხა, 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, 19,108,165 ლარს შეადგენს.

მოცემულ სამუშაოებზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების არასწორად გამოყენებისა და შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების არასწორად გაანგარიშების შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლინდა სახელშეკრულებო ღირებულების **279,287 ლარით გაზრდის ფაქტი**.⁵⁸ აღნიშნული თანხიდან 2020 წლის 20 ივლისის მდგომარეობით სააგენტოს მიერ კომპანიებისთვის გადახდილია 165,085 ლარი.⁵⁹

აღსანიშნავია ისიც, რომ სატენდერო ხარჯთაღრიცხვები და სააგენტოს მიერ ხელმოწერილ ინსპექტირების აქტებში შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოთა მოცულობები და ღირებულებები დადასტურებულია ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნებით.⁶⁰

აღნიშნული სამუშაოები აუდიტის მიმდინარეობისას არ არის დასრულებული და შესაბამისად, არ არის გაფორმებული საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტები. *აქედან გამომდინარე, აუდიტის ობიექტს მიეცა რეკომენდაცია, შეიტანოს კორექტირება სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ღირებულებები შემცირდეს ზემოთ მითითებული თანხების (279,287 ლარი) ფარგლებში, ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება. ობიექტის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები.*

2.2. შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა სხვადასხვა სსიპ-ში

იუსტიციის სახლის, აღსრულების ეროვნული ბიუროს და სერვისების სააგენტოს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, მათი ანგარიშების მიხედვით, მოიცავს თანამშრომელთა სამსახურებრივი დისციპლინისა და საქმიანობის კანონიერების შემოწმებას, რაც რეალურად ნიშნავს ინსპექტირებას და არ შეესაბამება „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით⁶¹ შიდა აუდიტის სუბიექტისთვის განსაზღვრულ საქმიანობის მასშტაბს.

საქართველოს მთავრობის N391 დადგენილების – „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“⁶² – შესაბამისად, საჯარო რეესტრის სააგენტოში შიდა აუდიტის სტრუქტურული

⁵⁶ NAT180017010, გამარჯვებული - შპს „დაგი“.

⁵⁷ NAT190000717, გამარჯვებული - შპს „თბილი სახლი“.

⁵⁸ ხელშეკრულება N01/14/070, 04.04.2019 წ.: შპს „თბილი სახლი“ - 235,575 ლარი და ხელშეკრულება N01/14/177, 11.12.2018 წ.: შპს „დაგი“ - 43,712 ლარი.

⁵⁹ შპს „თბილი სახლი -121,373 ლარი, შპს „დაგი“ - 43,712 ლარი.

⁶⁰ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, შპს „მშენეპსპერტი“, 2019 -2020 წლების დასკვნები.

⁶¹ საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი N 5447, მუხლი 18, პუნქტი 2.

⁶² 2016 წლის 12 აგვისტო.

დანაყოფის შექმნა და მის მიერ აუდიტორული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2018 წლიდან, თუმცა სააგენტოში არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტი (არსებობს შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც ინსპექტირებას ახორციელებს).

სერვისების სააგენტოს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი ელექტრონული პროგრამების აუდიტი“, თუმცა სამსახურის მიერ აღნიშნული ამოცანა არ სრულდება.

2.3 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.⁶³ აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მომველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ.

სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, ქონების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება სამინისტროს დაგეგმილი აქვს მიმდინარე წლის ბოლომდე.

2.4 საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამის არარსებობა/არასრულად გამოყენება

სამინისტროს აპარატს არ გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა, სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საწარმოებლად. სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ხორციელდება პროგრამა MS Excel-ის პროგრამით, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებას (სამინისტროს განმარტებით, დაგეგმილია შესაბამისი სააღრიცხვო პროგრამის შექმნა).

ეროვნული არქივის მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმების/დანართების მომზადებისთვის სააღრიცხვო პროგრამა „ORIS“ გამოყენებულია ნაწილობრივ, მონაცემთა ნაწილი დამუშავებულია მანუალურად.

2.5 ფასეულობების მატერიალურად პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულების გაფორმება

საჯარო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სახლში, ცენტრალურ საწყობსა და სხვა დანაყოფებზე, სადაც ხდება ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება (იუსტიციის სახლის 24 ფილიალი), მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე,⁶⁴ აღნიშნული დამატებით წარმოშობს აქტივების დაცულობასთან დაკავშირებულ რისკებს.

⁶³ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 4, პუნქტი 7, „ა“ ქვეპუნქტი.

⁶⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 9.

2.6 არამატერიალურ აქტივებზე გაწეული დანახარჯების შეფასების შესაბამისი კონტროლის სისტემის არარსებობა

საჯარო რეესტრის სააგენტო და სერვისების სააგენტო თავიანთი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სარგებლობენ სხვადასხვა ფუნქციის საინფორმაციო-ტექნოლოგიური (IT) აპლიკაციებით/პროგრამებით, საიდანაც უმეტესობა შექმნილია საკუთარი რესურსით (საჯარო რეესტრი – 28 პროგრამა/აპლიკაცია, სერვისების სააგენტო – 36 პროგრამა/აპლიკაცია). აღნიშნული პროგრამების/აპლიკაციების უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობს სააგენტოების ძირითადი შემოსავლების ფორმირებაში.

გარდა ამისა, საჯარო რეესტრის სააგენტოს შიდა რესურსებით შემუშავებულია 15 პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც ყოველწლიურად გადახდილი საფასურის სანაცვლოდ, სარგებლობენ გარე უწყებები. მათ შორისაა, ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი საქმისწარმოების პროგრამა.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი კონტროლის სისტემა მათზე გაწეული დანახარჯების ცალკე აღრიცხვისა და შეფასებისთვის, რათა შემდგომ განისაზღვროს, აღნიშნული დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს თუ არა.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ხელმოწერა

აუდიტორების ხელმოწერა

ლევან შუბითიძე
უფროსი აუდიტორი



ვალერი სანაია
წამყვანი აუდიტორი



სალომე მანჯგალაძე
აუდიტორი



ნიკოლოზ ქაჯაია
აუდიტორ-ასისტენტი



მალხაზ კენტელაძე
აუდიტორ-ასისტენტი



ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

N	დასახელება	ანგარიში	31.12.2019	31.12.2018
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	152,821,906	165,299,560
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	8,314,035	7,341,653
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	20,431,522	23,828,651
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	16,714,825	11,684,560
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		198,282,288	208,154,424
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	8,123	8,123
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	11,776,638	9,136,061
120	ძირითადი აქტივები	2100	661,933,248	631,411,818
130	ფასეულობები	2300	2,923	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	70,751,947	63,055,499
150	საინვესტიციო ქონება	2500	-	-
160	სულ გრძელვადიანი აქტივები		744,472,879	703,611,501
170	ბალანსი		942,755,167	911,765,925
180	ვალდებულებები			
190	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
200	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	142,901,564	134,176,349
210	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	8,377,634	8,078,650
220	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		151,279,198	142,254,999
230	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	5,799,854	3,492,756
240	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,799,854	3,492,756
250	სულ ვალდებულებები		157,079,052	145,747,755
260	კაპიტალი		-	-
270	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	517,169,536	498,109,439
280	გაუნაწილებელი მოგება	5220	268,506,579	267,908,731
290	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
300	სულ კაპიტალი		785,676,115	766,018,170
310	ბალანსი		942,755,167	911,765,925

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

N	დასახელება	2019 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2018 წლის 31 დეკემბერი
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯე ტო სახსრები	სულ	(წინა საანგარიშო წელი)
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	216,832,887	-	216,832,887	200,316,217
020	შემოსავლები (030+040+050+060)	6,396,920	165,194,203	171,591,123	178,934,694
030	გადასახადები	-	-	-	-
040	სოციალური შენატანები	-	-	-	-
050	გრანტები	4,699,255	17,974,682	22,673,937	27,397,602
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	1,697,665	147,219,521	148,917,186	151,537,093
070	ა) შემოსავლები საკუთრებიდან	44,997	12,563,935	12,608,932	15,034,945
080	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	451,203	131,395,549	131,846,752	132,187,959
090	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	924,294	-	924,294	696,216
100	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	157,373	3,260,037	3,417,410	3,343,012
110	ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	119,798	-	119,798	274,960
120	სულ (010+020)	223,229,807	165,194,203	388,424,010	379,250,912
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	71,498,617	43,551,009	115,049,626	117,957,990
150	საქონელი და მომსახურება	104,243,082	70,122,485	174,365,567	154,765,616
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	18,841,805	8,757,035	27,598,840	26,541,763
170	პროცენტი	-	-	-	-
180	სუბსიდიები	-	-	-	-
190	გრანტები	4,923,660	36,735,218	41,658,878	45,423,468
200	სოციალური უზრუნველყოფა	2,132,781	2,984,565	5,117,346	4,299,718
210	სხვა ხარჯები	7,809,120	3,008,388	10,817,508	6,944,633
220	სულ (140+150+160+170+180+190+200+210)	209,449,065	165,158,700	374,607,765	355,933,188
230	ფინანსური შედეგი (120-220)	13,780,742	35,503	13,816,245	23,317,723

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

N	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის	სულ
010	წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	19,060,097	597,848	-	19,657,945
020	კორექტირებები: ¹	11,681,416	5,883,020	-	17,564,436
030	ცვეთა (+)	18,841,805	8,757,035	-	27,598,840
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(6,750,360)	1,915,778	-	(4,834,582)
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(1,526,816)	(3,503,449)	-	(5,030,265)
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	(2,629,599)	(10,978)	-	(2,640,577)
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(1,134,029)	(762,182)	-	(1,896,211)
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+)	4,880,415	(513,184)	-	4,367,231
090	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	30,741,513	6,480,868	-	37,222,381
100	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120	ძირითადი აქტივები	-	-	-	-
130	ფასეულობები	-	-	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
150	საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
160	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	36,218,110	31,994,273	-	68,212,383
170	ძირითადი აქტივები	35,475,420	31,986,834	-	67,462,254
180	ფასეულობები	-	2,923	-	2,923
190	არაწარმოებული აქტივები	742,690	4,516	-	747,206
200	საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
210	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(36,218,110)	(31,994,273)	-	(68,212,383)
220	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
230	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-
240	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	740,204	7,985,011	-	8,725,215
250	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	740,204	7,985,011	-	8,725,215
260	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(4,736,393)	(17,528,394)	-	(22,264,787)
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	3,434,528	161,865,032	-	165,299,560
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	2,451,799	150,370,107	-	152,821,906
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	(938,490)	-	(938,490)
300	დროებით შეზღუდული სახსრები (აკრედიტ.)	-	-	-	-

ფორმა N4. წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

N	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
010	საწყისი ნაშთი	498,109,439	267,908,731	766,018,170
020	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
030	წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
040	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	498,109,439	267,908,731	766,018,170
050	არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	15,912,690	7,874,332	23,787,022
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	130	339,022	339,152
070	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15,912,560	7,535,310	23,447,870
080	არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	8,951,376	7,311,946	16,263,322
090	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	45,334	1,074,930	1,120,264
100	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8,906,042	6,237,016	15,143,058
110	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	1,681,959	41	1,682,000
120	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	13,780,742	35,503	13,816,245
130	ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+120)	517,169,536	268,506,579	785,676,115

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

N	დასახელება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა %	საკასო ხარჯი	გადახრა % საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები	163,740,000	178,608,676	9.08	180,614,777	1.12	209,449,065	28,834,288
020	მათ შორის:							-
030	შრომის ანაზღაურება	78,147,000	71,606,872	-8.37	71,505,363	-0.14	71,498,617	(6,746)
040	არაფინანსური აქტივების ზრდა	27,390,000	35,286,772	28.83	36,218,110	2.64	4,925,729	(31,292,381)
050	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
060	ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი ორგანიზაციების ანგარიშგებებისაგან:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

სპეციალური პენიტენციური სამსახური;

სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო;

სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი;

სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო;

სსიპ – „სმართ ლოჯიკი“;

სსიპ – იუსტიციის სახლი;

სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;

სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 6 თვის ნაერთი ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციაში მოხდა საწყისი ნაშთის ცვლილება, კერძოდ:

დანართ №1-ში:

- ⌋ 1240 ანგარიშის (ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის) საწყისი ნაშთი გაზრდილია 15 918.60 ლარით, რომელიც გამოწვეულია სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრის საწყისი ნაშთის დამატებით.
- ⌋ გარდა ამისა, 1240 ანგარიშზე (ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის) არსებული საწყისი და საბოლოო ნაშთები ნაკლებია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებულ მონაცემებთან შედარებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანხები აღრიცხულია ცალკე ორგანიზაციულ კოდზე (ორგანიზაციის კოდი: 2700).
- ⌋ 2118 (გაყვანილობის სისტემები) და 2119 (სხვა ნაგებობები) ანგარიშები ჯამურად ასახულია 2113 (სხვა ნაგებობები) ანგარიშზე.

- 1627 (სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები), 2210 (ტექნიკა) და 2230 (მოწყობილობა) ანგარიშების საწყისი ნაშთები შემცირდა 1459 ლარით. ამავე თანხით გაიზარდა 2220 (ინვენტარი) ანგარიშზე არსებული ნაშთი. საბოლოოდ, საბალანსო ნაშთი არ შეცვლილა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგების დანართ №2-ში:

- მიმდინარე წელს ჩამორიცხული მიზნობრივი გრანტის თანხას აღვრიცხავთ შემდეგნაირად: ჩამორიცხულ თანხას ვაკლებთ მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულ ხარჯს და სხვაობას (გაუხარჯავ ნაშთს) ვალიარებთ შემოსავალში. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი მეტია საანგარიშო წელს ჩამორიცხულ თანხაზე, მაშინ წინა წლის ნაშთიდან გამოყენებული თანხის შესაბამისად ვამინუსებთ გრანტის შემოსავალს. დანართ №2-ში გრანტის დარიცხულ შემოსავლებში და დარიცხულ ხარჯებში დამატებულია დანართი №5-ის მონაცემები, სასაქონლო ფორმით მიღებული და გაცემული გრანტები.

- „სხვა ხარჯების“ მუხლში, არასაბიუჯეტო ნაწილში, ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების გამო, საკასო ხარჯები აღემატება დარიცხულ ხარჯებს.

რაც შეეხება სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკას, სამუშაო პროცესი სამინისტროს აპარატს, საქვეუწყებო დაწესებულებასა და მის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრისა და შემდგომში მისი დამტკიცების მიზნით, არ დასრულებულა. აქედან გამომდინარე, ნაერთი ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის შედგენისას სამინისტრო იყენებს მოქმედ ინსტრუქციებსა და ანგარიშგების ფორმებს.

კონსოლიდირებული ერთეულები

2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:

-)] სამინისტროს აპარატი;
-)] სპეციალური პენიტენციური სამსახური;
-)] სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;
-)] სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
-)] სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო;
-)] სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი;
-)] სსიპ – იუსტიციის სახლი;
-)] სსიპ – „სმართ ლოჯიკი“;
-)] სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
-)] სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
-)] სსიპ – საკანონმდებლო მაცნე;
-)] სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო;
-)] სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
-)] სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი.

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია:**

<https://sao.ge/>
<https://budgetmonitor.ge/ka>
<http://blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი:

(+995 32) 243 81 81

**ელექტრონული
ფოსტა:**

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38